დოკუმეტი დამტკიცებულია შპს ევროპის უნივერსიტეტის

რექტორის 2025 წლის 8 ივლისის N42541 ბრძანებით

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი

2025

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წესის (შემდგომში - წესი) მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

2. წესი ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებულ წესებსა და პირობებს.

3. უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ორმხრივი წერილობითი დოკუმენტი (მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვ.), დადგენილი წესით უნივერსიტეტის მიერ მიღებული საერთაშორისო პროექტი ან სხვა საერთაშორისო პროექტი, რომელშიც მონაწილეობს უნივერსიტეტი.

4. პერსონალის საერთშორისო მობილობის პროგრამით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს და პროგრამა ითვალისწინებს მოკლევადიანი მობილობის განხორციელებას პარტნიორ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში მობილობა შეიძლება განხორციელდეს როგორც სწავლების (Staff Mobility for Teaching), ასევე პროფესიული გადამზადების (Staff Mobility for Training) მიზნებისთვის.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადების წინაპირობები და სპეციფიკა

1. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ კონკურსის გამოცხადების საფუძველია შესაბამისი ვაკანტური ადგილების არსებობა.

2. კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით ბრძანება გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის მიერ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

3. რექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში აისახება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი, ვადა, საკონკურსო პირობები და კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმები ამ წესის შესაბამისად.

4. საკონკურსო პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; მიმდინარე კონკურსების შესახებ ინფორმაცია ასევე გავრცელდება უნივერსიტეტის ოფიციალური სოციალური არხების საშუალებით.

5. კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური რეგულარულად აწარმოებს საკონსულტაციო შეხვედრებს დაინტერესებულ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ფიზიკურ ან/და დისტანციურ რეჟიმში.

6. პარტნიორ უნივერსიტეტთან შეთანხმებითა და თანამშრომლობის სპეციფიკის გათვალისწინებით, რექტორის ბრძანების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს აქვს უფლება, პირდაპირი ნომინაციის გზით მიმღებ უნივერსიტეტს წარუდგინოს კანდიდატ(ებ)ი (ადმინისტრაციული, აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი), რომელთა პროფესიული საქმიანობა უნივერსიტეტში დაკავშირებულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესთან ან/და რომელთა ნომინირება განსაკუთრებულად ღირებულია კონკრეტული თანამშრომლობის განვითარების/გაძლიერების მიზნებისათვის.

მუხლი 3. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის დაშვების წინაპირობები და განაცხადის წარმოდგენა

1. საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით გამოცხადებული კონკურსისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს:

ა) *სწავლების მიზნით მობილობისთვის:* კონკურსის მიმდინარეობისა და მობილობის განხორციელების პერიოდში კანდიდატი უნდა იკავებდეს აკადემიურ პოზიციას.
ტრენინგის მიზნით მობილობისთვის: კონკურსის მიმდინარეობისა და მობილობის განხორციელების პერიოდში კანდიდატს უნდა ჰქონდეს მოქმედი შრომითი ხელშეკრულება აკადემიური ან ადმინისტრაციული პოზიციისთვის. გამოსაცდელი ვადით დასაქმებულ კანდიდატს განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელის წერილობითი რეკომენდაციის საფუძველზე.

ბ) კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას (ან/და სხვა უცხო ენას, მასპინძელი უნივერსიტეტის მოთხოვნისა და მობილობის სამუშაო ენის გათვალისწინებით) ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად მინიმუმ B2 დონეზე;

გ) კანდიდატს განაცხადის წარდგენის მომენტისათვის მიმდინარე აკადემიურ წელს არ უნდა ჰქონდეს განხორციელებული იმავე ტიპის ერთზე მეტი მობილობა;

დ) წინამდებარე მუხლში გათვალისწინებული მოთხოვნებისა და წინაპირობების გარდა, კონკრეტული კონკურსის ფარგლებში შესაძლოა დაწესდეს დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც გამოქვეყნდება ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულმა კანდიდატმა განაცხადი უნდა წარმოადგინოს ელექტრონულად, წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და კონკრეტული კონკურსისათვის განსაზღვრული ვადის დაცვით. კანდიდატს ერთი საკონკურსო პერიოდის განმავლობაში განაცხადის წარდგენა შეუძლია მაქსიმუმ სამი უნივერსიტეტისათვის (პრიორიტეტების მითითებით). ელექტრონული განაცხადის ფორმა ივსება ერთხელ, სადაც

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები (ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე):

ა) პასპორტის, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) პროფესიული რეზიუმე (CV) ევროპის უნივერსიტეტის ფორმატით;
გ) ცნობა ევროპის უნივერსიტეტიდან, რომელიც ადასტურებს კანდიდატისა და უნივერსიტეტს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის ფაქტსა და ხანგრძლივობას.
დ) ინგლისური (ან/და შესაბამისი უცხო) ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონე), ***ასეთის არსებობის შემთხვევაში.*** კონკურსის ფარგლებში, ვალიდურად განსაზღვრულია შემდეგი სახის ცნობა/სერტიფიკატი:

- IELTS – მინ. 5.5 ქულა;
- TOEFL iBT - მინ. 67 ქულა/TOEFL CBT - მინ. 183 ქულა/TOEFL PBT - მინ. 500 ქულა;
- FCE - ჩაბარებული სტატუსი;
- CAE - მინ. 160 ქულა;
- Aptis - ჩაბარებული სტატუსი;
- English Score – მინ. 400 ქულა;
- სრულად ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარისხის მოპოვების დამადასტურებელი ცნობა ან დიპლომი;
- ბოლო 3 წლის განმავლობაში ინგლისურ ენაზე სწავლების დამადასტურებელი ცნობა.

ე) მობილობის ხელშეკრულება, ხელმოწერილი კანდიდატისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ (შაბლონი - სწავლების მიზნით; ტრენინგის მიზნით)

ვ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს პოტენციურ ან უკვე არსებულ თანამშრომლობას მასპინძელ უნივერსიტეტთან, ***ასეთის არსებობის შემთხვევაში***, როგორიცაა: მოწვევის წერილი, ერთობლივად დაგეგმილი პროექტის ან პუბლიკაციის შესახებ კომუნიკაცია და სხვ.
დოკუმენტთა მომზადებაზე, წარმოდგენილ დოკუმენტთა და ინფორმაციის ნამდვილობასა და ვალიდურობაზე პასუხისმგებელია განაცხადის წარმომდგენი.

მუხლი 4. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურა

1. აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურას ადმინისტრირებას უწევს უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული შერჩევის კომისია, რომელშიც წარმოდგენილნი არიან: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი (კომისიის ხელმძღვანელი), ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი და ენების ცენტრის წარმომადგენელი;

2. შერჩევის პირველ ეტაპს წარმოადგენს კანდიდატთა ფორმალური შესაბამისობის დადგენა ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად; ამ ეტაპზე, კომისიის მიერ მოწმდება:

ა) კანდიდატის პოზიციისა და მიმართულების შესაბამისობა შემოთავაზებულ პროგრამასთან;
ბ) კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა მე-3 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით;
გ) კანდიდატის მიერ განხორციელებული მობილობების რაოდენობის შესაბამისობა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვასთან მიმართებით;

3. კანდიდატები, რომელთა განაცხადიც ჩაითვლება კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისად, გადავლენ შერჩევის მეორე ეტაპზე; მეორე ეტაპის მიზანს წარმოადგენს კანდიდატის ენის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნასთან.

4. ინგლისური ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ ტესტირებას უზრუნველყოფს ევროპის უნივერსიტეტის ენების ცენტრი; ინგლისური ენის გამოცდა ამოწმებს კანდიდატის ორ ენობრივ კომპეტენციას (მოსმენისა და კითხვის უნარი) CEFR-ის მოთხოვნების შესაბამისად.
გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან გათავისუფლებულები იქნებიან კანდიდატები, რომლებსაც განაცხადის ფორმაში წარმოდგენილი აქვთ ენის კომპეტენციის დამადასტურებელი ვალიდური ცნობა/დოკუმენტი მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გადალახავენ შერჩევის პირველ და მეორე ეტაპებს, გადადიან შერჩევის მესამე ეტაპზე, რომელიც გულისხმობს კანდიდატთა შეფასებას.

შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **აკადემიური სტატუსი და აფილირება (მაქს. 5 ქულა):**
  - პროფესორი - 4 ქ.
  - ასოცირებული პროფესორი - 3 ქ.
  - ასისტენტ-პროფესორი - 2 ქ.
  - ასისტენტი - 1 ქ.
  - აფილირება - დამატებით 1 ქ.
- **კანდიდატის წლიური შეფასების მაჩვენებელი (მაქს. 8 ქულა)**
  - 4.5 – 5 ქულა - 8 ქ.
  - 4.0 – 4.5 ქულა - 6 ქ.
  - 3.5 – 4.0 ქულა - 4 ქ.
  - 3.0 – 3.5 ქულა - 2ქ.
  - 0 – 3.0 – 0 ქ.
- **წინარე მობილობის გამოცდილება (მაქს. 2 ქულა)**
  - არ აქვს გამოცდილება – 2 ქულა
  - ბოლო მობილობის განხორციელებიდან გასულია მინ. 1 წელი – 1 ქულა

- მობილობა განხორციელდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში – 0 ქულა

- **ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხანგრძლივობა (მაქს. 3 ქულა)**
  - 5 წელი ან მეტი - 3 ქ.
  - 3-4 წელი - 2 ქ.
  - 1-2 წელი - 1 ქ.
  - 1 წელზე ნაკლები - 0 ქ.
- **მობილობის მიღმა თანამშრომლობა ან/და თანამშრომლობის გეგმა მასპინძელ უნივერსიტეტთან (მაგ. ერთობლივი კვლევითი პროექტი, პუბლიკაცია, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა და ა.შ.)(მაქს. 2 ქულა)**
  - აქვს - 2 ქ.
  - არ აქვს - 0 ქ.
- **გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან (მაქს. 10 ქულა)**

  შეფასების რუბრიკა წარმოდგენილია დანართი N1-ის სახით

  - კომუნიკაციისა და თვითპრეზენტაციის უნარები (3 ქულა)
  - დაგეგმილი შეხვედრების და აქტივობების აქტუალობა და მნიშვნელობა; (3 ქულა)
  - მობილობის შესაბამისობა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან (2 ქულა)
  - მოსალოდნელი შედეგების ღირებულება და/ან მობილობის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა; (2 ქულა)

6. კანდიდატის საბოლოო საკონკურსო ქულის გამოანგარიშება ხდება ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებში დაგროვილი ქულების დაჯამებით. კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური 30-დან მინიმუმ 15 ქულა იმისათვის, რომ მისი კანდიდატურა განხილულ იქნეს ნომინირებისთვის. საბოლოო შერჩევის მიზნით, მასპინძელ უნივერსიტეტს წარედგინება უმაღლესი საკონკურსო ქულის მქონე კანდიდატი. იმ შემთხვევაში, თუკი ერთი კანდიდატი ერთი კონკურსის ფარგლებში რამდენიმე უნივერსიტეტისათვის არის ნომინირების პრეტედენტი, მისი ნომინირება მოხდება მისთვის პრიორიტეტულ უნივერსიტეტში და სხვა აპლიკაციებისათვის აღნიშნული კანდიდატურა აღარ განიხილება.

მუხლი 5. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურა

1. ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურას ადმინისტრირებას უწევს უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული შეფასების კომისია, რომელშიც წარმოდგენილნი არიან: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი (კომისიის ხელმძღვანელი), ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, შესაბამისი მიმართულების კურატორი ვიცე-რექტორი/რექტორი და ენების ცენტრის წარმომადგენელი;

2. შერჩევის პირველ ეტაპს წარმოადგენს კანდიდატთა ფორმალური შესაბამისობის დადგენა ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად; ამ ეტაპზე, კომისიის მიერ მოწმდება:

ა) კანდიდატის პოზიციისა და მიმართულების შესაბამისობა შემოთავაზებულ პროგრამასთან;
ბ) კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა მე-3 მუხლი-ის მე-2 პუნქტთან მიმართებით;
გ) კანდიდატის მიერ განხორციელებული მობილობების რაოდენობის შესაბამისობა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვასთან მიმართებით;
3. კანდიდატები, რომელთა განაცხადიც ჩაითვლება კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისად, გადავლენ შერჩევის მეორე ეტაპზე; მეორე ეტაპის მიზანს წარმოადგენს კანდიდატის ენის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნასთან.
4. ინგლისური ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ ტესტირებას უზრუნველყოფს ევროპის უნივერსიტეტის ენების ცენტრი; ინგლისური ენის გამოცდა ამოწმებს კანდიდატის ორ ენობრივ კომპეტენციას (მოსმენისა და კითხვის უნარი) CEFR-ის მოთხოვნების შესაბამისად.
გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან გათავისუფლებულები იქნებიან კანდიდატები, რომლებსაც განაცხადის ფორმაში წარმოდგენილი აქვთ ენის კომპეტენციის დამადასტურებელი ვალიდური ცნობა/დოკუმენტი მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის„დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გადალახავენ შერჩევის პირველ და მეორე ეტაპებს, გადადიან შერჩევის მესამე ეტაპზე, რომელიც გულისხმობს კანდიდატთა შეფასებას.

შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **კანდიდატის წლიური შეფასების მაჩვენებელი (მაქს. 8 ქულა)**
  - 95 – 100 % - 8 ქ.
  - 90 – 95 % - 6 ქ.
  - 85-90 % - 4 ქ.
  - 80-85 % - 2ქ.
  - 0 – 80 % – 0 ქ.
- **წინარე მობილობის გამოცდილება (მაქს. 2 ქულა)**
  - არ აქვს გამოცდილება – 2 ქულა
  - ბოლო მობილობის განხორციელებიდან გასულია მინ. 1 წელი – 1 ქულა
  - მობილობა განხორციელდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში – 0 ქულა
- **ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხანგრძლივობა (მაქს. 3 ქულა)**
  - 5 წელი ან მეტი - 3 ქ.
  - 3-4 წელი - 2 ქ.
  - 1-2 წელი - 1 ქ.
  - 1 წელზე ნაკლები - 0 ქ.

- **მობილობის მიღმა თანამშრომლობა ან/და თანამშრომლობის გეგმა მასპინძელ უნივერსიტეტთან (მაგ. ერთობლივი კვლევითი პროექტი, პუბლიკაცია, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა და ა.შ.) (მაქს. 2 ქულა)**
  - აქვს - 2 ქ.
  - არ აქვს - 0 ქ.
- **გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან (მაქს. 10 ქულა)**
  შეფასების რუბრიკა წარმოდგენილია დანართი N1-ის სახით

  - კომუნიკაციისა და თვითპრეზენტაციის უნარები (3 ქულა)
  - დაგეგმილი შეხვედრების და აქტივობების აქტუალობა და მნიშვნელობა; (3 ქულა)
  - მობილობის შესაბამისობა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან (2 ქულა)
  - მოსალოდნელი შედეგების ღირებულება და/ან მობილობის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა; (2 ქულა)

6. კანდიდატის საბოლოო საკონკურსო ქულის გამოანგარიშება ხდება ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებში დაგროვილი ქულების დაჯამებით. კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური 25-დან მინიმუმ 10 ქულა იმისათვის, რომ მისი კანდიდატურა განხილულ იქნეს ნომინირებისთვის. საბოლოო შერჩევის მიზნით, მასპინძელ უნივერსიტეტს წარედგინება უმაღლესი საკონკურსო ქულის მქონე კანდიდატი.

მუხლი 6. პერსონალის ნომინირების პროცედურა

1. ნომინირება გულისხმობს კანდიდატის წარდგენას მასპინძელი უნივერსიტეტისათვის საბოლოო შერჩევის მიზნით. თითოეული მასპინძელი უნივერსიტეტისათვის, არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით, ხდება იმ კანდიდატებისა ნომინირება, რომლებიც საკონკურსო ქულების საფუძველზე შედგენილ სარეიტინგო სიაში ამავე შერჩევის პროცესში მონაწილე მათ კონკურენტ კანდიდატებზე მეტ ქულას დააგროვებენ. კანდიდატები, რომლებიც ვერ დააგროვებენ ნომინირებისთვის საკმარის ქულას, იკავებენ პოზიციას სარეზერვო კანდიდატთა სიაში. ნომინირების დროს, საკონკურსო ქულის გარდა, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს მასპინძელ უნივერსიტეტთან შეთანხმებით განსაზღვრული პრიორიტეტები (მაგ. მიმართულება).

თუკი ერთი კანდიდატი ერთი კონკურსის ფარგლებში რამდენიმე უნივერსიტეტისათვის არის ნომინირების პრეტედენტი, მისი ნომინირება მოხდება მისთვის პრიორიტეტულ უნივერსიტეტში და სხვა უნივერსიტეტებისათვის აღნიშნული კანდიდატურა აღარ განიხილება.

2. ნომინირების შესახებ ინფორმაცია თითოეულ კანდიდატს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ნომინირებული კანდიდატი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით დაადასტუროს ან უარი განაცხადოს მიღებულ შეთავაზებაზე. იმ

შემთხვევაში, თუკი კანდიდატი უარს განაცხადებს ნომინირებაზე, მის ადგილს დაიკავებს სარეზერვო სიის რეიტინგით შემდგომი კანდიდატი.

3. ნომინირების შემდგომ საბოლოო დასტურს კანდიდატის მიღების შესახებ გამოსცემს მასპინძელი უნივერსიტეტი. დამატებითი ინსტრუქციები შემდგომ პროცედურებთან დაკავშირებით შერჩეულ კანდიდატს მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან მიეწოდება.

მუხლი 7. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის განხორციელების სპეციფიკა და ანგარიშვალდებულება

1. ერაზმუს პლიუსის მობილობის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში შერჩევა ავტომატურად გულისხმობს სტიპენდიის მოპოვებას, წინასწარ დადგენილი ნიხრების შესაბამისად.

მობილობის მინიმალური ხანგრძლივობა შეადგენს უწყვეტ 5 სამუშაო დღეს.

სწავლების მიზნით მობილობა გულისხმობს მასპინძელ უნივერსიტეტში არანაკლებ 8 საათი სასწავლო აქტივობების ჩატარებას. მასპინძელ უნივერსიტეტთან შეთანხმებით, შესაძლებელია 8-საათიანი დატვირთვის ფარგლებში აქტივობების კომბინირება, მაგალითად: 4 საათი სასწავლო კომპონენტი და 4 საათი შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული აქტივობა (როგორიცაა სასწავლო პროცესის დაკვირვება, სილაბუსის ან კურიკულუმის განხილვა და სხვ.).

სწავლების მიზნით მობილობა განკუთვნილია აკადემიური პერსონალისთვის.

ტრენინგის მიზნით მობილობა მოიცავს ვიზიტს პარტნიორ უნივერსიტეტში ინსტიტუციური კავშირების გაღრმავების, საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობისთვის, ან უცხოელი კოლეგების წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ტრენინგის მობილობა უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ მიზანს და განკუთვნილია როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ პოზიციებზე მყოფი თანამშრომლებისთვის.

სტიპენდიის ხანგრძლივობისა და ზუსტი ოდენობის შესახებ ინფორმაცია კონკრეტული უნივერსიტეტის შემთხვევაში, კანდიდატისათვის ხელმისაწვდომი იქნება კონკურსის მიმდინარეობის ეტაპზე, საკონკურსო განცხადებაში. სტიპენდიის გაცემა ხდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ. სტიპენდიის გაცემის წესები და პირობები შესაძლოა განსხვავებული იყოს კონკრეტული უნივერსიტეტისა თუ ქვეყნის შიდა რეგულაციების მიხედვით. აღნიშნული საკითხები რეგულირდება მასპინძელ უნივერსიტეტსა და კანდიდატს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.

2. შერჩეული კანდიდატი ვალდებულია:

ა) დროულად დაადასტუროს/უარყოს შემოთავაზება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;
ბ) ზედმიწევნით, შესაბამისი ვადების დაცვით მიჰყვეს მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტიდან მიღებულ ინსტრუქციებს;

გ) მასპინძელ უნივერსიტეტთან შეთანხმებით, მოამზადოს მობილობის გეგმა და მოიპოვოს უშუალო მასპინძელისა და მშობლიური უნივერსიტეტის დეკანის ხელმოწერა;

დ) მობილობის თარიღების შეთანხმებისთანავე, ინფორმაცია მიაწოდოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს;

ე) დაიცვას მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მობილობის დაწყებისა და დასრულების ვადები;

ვ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მობილობით გათვალისწინებული აქტივობები;

3. მობილობის დასრულების შემდგომ, ბენეფიციარი ვალდებულია 2 კვირის ვადაში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- მგზავრობის დამადასტურებელი ჩასხდომის ბარათები;
- მასპინძელი უნივერსიტეტის საერთაშორისო სამსახურის მიერ ხელმოწერილი დასწრების სერტიფიკატი (Attendance Certificate);
- განხორციელებული აქტივობების შესახებ მომზადებული ანგარიში ამ წესის დანართი N2-ის შესაბამისად.

4. ბენეფიციარი ვალდებულია შეავსოს ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარი, რომლის მიზანია საერთაშორისო აკადემიური მობილობის ეფექტიანობის შეფასება.

დანართი N1

გასაუბრების შეფასების რუბრიკა

მაქსიმალური ქულა: 10

კანდიდატის შეფასება გამოიანგარიშება თითოეული კომისიის წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად

1. კომუნიკაცია და თვითპრეზენტაცია (მაქს. 3 ქულა)

ქულა	**კრიტერიუმი**
3	კანდიდატის პრეზენტაცია სტრუქტურულად გამართულია; კანდიდატს აქვს კარგი ენობრივი უნარები; მისი კომუნიკაცია და პასუხები არის ცხადი და სრულფასოვანი.
2	კანდიდატის პრეზენტაცია დამაკმაყოფილებელია; კომუნიკაცია და პასუხები მეტწილად რელევანტური, თუმცა ზოგჯერ ბუნდოვანია.
1	კანდიდატის პრეზენტაცია ფრაგმენტული და ბუნდოვანია; მას აქვს სირთულე კომუნიკაციის პროცესში და მისი პასუხები არასრულია.
0	კანდიდატის პრეზენტაცია გაუმართავია; მას აქვს არსებითი პრობლემები კომუნიკაციის პროცესში და მისი პასუხები მეტწილად არარელევანტურია.

2. აქტივობების აქტუალობა და მნიშვნელობა (მაქს. 3 ქულა)

ქულა	**კრიტერიუმი**
3	კანდიდატის აქტივობების გეგმა დეტალური, მიზანმიმართული და თანმიმდევრულია; ნათელია აქტივობების გეგმის მჭიდრო კავშირი კანდიდატის პროფესიულ/აკადემიურ მიზნებთან.
2	კანდიდატის აქტივობების გეგმა მეტწილად მიზანმიმართული და თანმიმდევრულია; აქტივობების გეგმის კავშირი კანდიდატის პროფესიულ/აკადემიურ მიზნებთან ნაწილობრივ დასაბუთებულია.
1	კანდიდატის აქტივობების გეგმა მეტწილად ბუნდოვანია; აქტივობების გეგმის კავშირი კანდიდატის პროფესიულ/აკადემიურ მიზნებთან სუსტად არის დასაბუთებული.
0	კანდიდატს არ აქვს აქტივობების გეგმა ან წარმოდგენილი გეგმა გაურკვეველია; აქტივობების გეგმის კავშირი კანდიდატის პროფესიულ/აკადემიურ მიზნებთან შეუთავსებელია.

3. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისობა (მაქს. 2 ქულა)

ქულა	კრიტერიუმი
2	კანდიდატი ნათლად აღწერს მისი მობილობის პოტენციურ სარგებელს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა თუ სხვა სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებით.
1	კანდიდატი მეტნაკლებად ნათლად აღწერს მისი მობილობის პოტენციურ სარგებელს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა თუ სხვა სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებით.
0	კანდიდატის მობილობის პოტენციური სარგებელი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა თუ სხვა სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებით არ არის ნაჩვენები/დასაბუთებული.

4. შედეგების ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება (მაქს. 2 ქულა)

ქულა	კრიტერიუმი
2	კანდიდატის ნათლად ასაბუთებს მობილობის მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობასა და ღირებულებას, მათი პრაქტიკული გამოყენებადობის ჭრილში.
1	კანდიდატი ზოგადად აღწერს მობილობის მოსალოდნელ შედეგებს და იკვეთება მათი პრაქტიკული გამოყენებადობის პოტენციალი.
0	კანდიდატი არ წარმოადგენს ნათლად მობილობის მოსალოდნელ შედეგებს და მისი პრაქტიკული ღირებულება არ იკვეთება.

დანართი N2

საერთაშორისო მობილობის შემდგომი ანგარიშის ფორმა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის

I. პირადი ინფორმაცია	
სახელი, გვარი	
პოზიცია	
ფაკულტეტი/დეპარტამენტი	
პერსონალის ტიპი:	☐ აკადემიური პერსონალი ☐ ადმინისტრაციული პერსონალი ☐ მეცნიერ-თანამშრომელი☐ სხვა: _____
ელ.ფოსტა	
ტელ. ნომერი	

II. მობილობის დეტალები	
მასპინძელი უნივერსიტეტი	
მასპინძელი ქვეყანა	
მობილობის ტიპი	☐ მობილობა სწავლების მიზნით (STA) ☐ მობილობა პროფესიული გადამზადების მიზნით (STT)
სმობილობის მთავარი მიზანი	☐ ერთობლივი კვლევა ☐ სწავლება ☐ კონფერენციაში მონაწილეობა ☐ პროფესიული განვითარება (ტრენინგი/სემინარი/სამუშაო შეხვედრა) ☐ ადმინისტრაციული მობილობა (ე.წ. “Job Shadowing”)☐ ერთობლივი პროექტის განხორციელება ☐ სხვა: _____
მობილობის პერიოდი	დღე/თვე/წელი - დღე/თვე/წელი

პროგრამა	☐ Erasmus+ ☐ სხვა: _____

III. განხორციელებული აქტივობები	
აქტივობა I - აღწერა	
აქტივობა II - აღწერა	
აქტივობა III - აღწერა	
აქტივობა IV - აღწერა	

IV. მიღებული შედეგები (პიროვნული და პროფესიული სარგებელი)	
აღწერეთ პროფესიასთან დაკავშირებული უნარები, რომლებიც შეიძინეთ ან გაიუმჯობესეთ მობილობის პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
აღწერეთ ზოგადი/პიროვნული უნარები, რომლებიც შეიძინეთ ან გაიუმჯობესეთ მობილობის პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
აღწერეთ ცოდნა, რომელიც შეიძინეთ ან გაიუმჯობესეთ მობილობის პერიოდში	

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

V. მიღებული შედეგები (ინსტიტუციური გავლენა)	
აღწერეთ მობილობის პირდაპირი სარგებელი უნივერსიტეტისათვის, მაგ. ახალი პარტნიორობის პოტენციალის გამოვლენა, ახალი პროექტის იდეის ინიცირება და ა.შ. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
აღწერეთ მობილობის დროს მიღებული ცოდნის/უნარების ევროპის უნივერსიტეტში გაზიარებისკენ მიმართული აქტივობები, მაგ. პრეზენტაცია, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რეკომენდაციები და ა.შ. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
თქვენი შეფასებით, როგორია თქვენი მობილობის გრძელვადიანი სტრატეგიული ღირებულება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის კუთხით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	

დანართები

დამხმარე დოკუმენტაცია თანდართულია:

☐ მგზავრობის დამადასტურებელი ჩასხდომის ბარათები (სავალდებულო)

☐ დასწრების სერტიფიკატი მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან (სავალდებულო)
☐ ფოტოები / მედიაფაილები
☐ სხვა: _____

თარიღი **მობილობით მოსარგებლე პირის ხელმოწერა**

_____ _____